№ 77  21 აპრილი, პარასკევი  1866—1878  21 აპრილი, პარასკევი  № 77

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ვენა**, 18 აპრილს. გაზეთს „Politische Correspondenz"-ს მოუვიდა სტამბოლიდამ შემდეგი დეპეშა:

დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ წარუდგინა გუშინ გენერალ ტოტლებენი ჯარს როგორც თავის მოადგილე. დღეს დიდი მთავარი გამოეთხოვა ხონთქარს, შემდეგ ის და გენ. ნეპოკოიჩიცკი ჩასხდნენ ხომალდში და წამოვიდნენ ოდესისაკენ.

რუსებმა რამდენიმე მუსულმანი დაატუსაღეს ადრიანოპოლში.

ამბობენ, რომ გენ. ტოტლებენმა მოიტანა ახალი წინადადება იმის თაობაზედ—თუ როგორ და რა პირობით უნდა მოშორდეს სტამბოლს რუსის ჯარი და ინგლისის ფლოტი.

**სტამბოლი**, 19 აპრილს. ინგლისის ტრაპიზონელ კონსულს (ელჩს) გამოეცხადა ბათუმის მცხოვრებლებისაგან გაგზავნილი დეპუტაცია, რომელმანც უთხრა იმას, რომ ბათუმის მცხოვრებლებს გადაწყვეტილი გვაქვსო, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ რუსებს, თუ იმათ ბათუმის დაჭერა განიზრახესო. დეპუტატებმა განაცხადეს აგრეთვე თხოვნა, რომ ინგლისმა დაიფაროს ბათუმი.

**ლონდონი**, 19 აპრილს. ინგლისის ფლოტი გავიდა იზმიდიდამ სროლაში სავარჯიშებლად; ორი დღის განმავლობაში ფლოტი ტუზლთან იქნება გაჩერებული და შემდეგ კი ისევ იზმიდის ნავსადგურში დაბრუნდება.

მშვიდობიანად საქმის გათავებას არ მოელიან.

**პარიჟი**, 19 აპრილს (1 მაისს). დღეს გაიხსნა აქ მსოფლიო გამოფენა. რუსეთის განყოფილება გამოფენისა მოსწონთ.

**მანჩესტერი**, 18 აპრილს. ჩრდილოეთ ინგლისის ლიბერალური საზოგადოების 1500 დელეგატმა გადაწყვიტა, რომ ბიკონსფილდის პოლიტიკის შესახებ უკმაყოფილება გამოაცხადოს, რადგან ეს პოლიტიკა არის ერთად-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი მშვიდობიანობისა.

## საქართველო

### დღიური

** აღდგომის დღესასწაულიბმა მშვიდობიანათ ჩაიარა ჩვენს ქალაქში; რასაკვირველია, როგორც ყოველ ამგვარ დღესასწაულს შეეფერება, ბევრი კახური დაილია, ბევრი ლოთები დაბარბაცებდნენ ქუჩებში, საკმაო მუშტის-კრივი დაიხარჯა, არა-ერთი ქამარი და საათი დაგირავდა,—მაგრამ ყველა ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენებური დღესასწაულობასა; უჩვეულებრივო კი არა მომხდარა-რა გარდა იმისა, რომ სწორეთ აღდგომა ღამეს, ირმუკაში, ერთს მედუქნეს, საღამოს დუქანი დაეკეტა, შინ წასულიყო და უეცრად, კაცმა არ იცის—საიდამ შუაღამეზე ამ დუქნიდამ ცეცხლის ალმა ამოხეთქა.. მაგრამ უჩვეულებრივო ამბავი ჩვენში ხომ არც ეს არის...

** გასულ პარასკევს, 14-ს აპრილს, რამდენიმე ავაზაკი (ამბობენ, ათამდე-ნ) დასცემია ჰავლაბარში ოქროევის სახლს, მთელი სახლობა აუკლიათ, ხუთი თუ ექვსი სული დაუჭრიათ, დიდძალი ოქრო-ვერცხლის ნივთი და ფული (ამბობენ, სულ ოც-და-ხუთი ათას მანეთამდინ) წაუღიათ და წასულან. ეს საქმე, რასაკვირველია, გამომძიებელს აქვს გადაცემული გამოსაძიებლად...

** რადგან სანიტარული კომიტეტის განკარგულებით სხვა-და-სხვა უწმინდურობისა და ნაგავის დაყრა მტკვრის ნაპირზედ აკრძალულია, ამის გამო იქ რამდენსამე ალაგას დააწყვეს დიდრონი ოთხ კუთხი ყუთები, რომლებშიაც უნდა ჩაყარონ ყოველგვარი ნაგავი, რომ მერე ადვილად შეიძლებოდეს ქალაქს გარეთ გადატანა.

** ამ სამშაბათს, 18 აპრილს, „კავკასიის ბუნების გამომძიების მოყვარეთა საზოგადოებისაგან" დანიშნული იყო ექსკურსია სოფ. კასპში წასასვლელად, სადაც უნდა გაეცნათ ზოგიერთი გეოლოგიური მოვლენა თეთრახევში. ოც კაცამდინ შეიყარნენ მსურველნი, ზოგი წევრნი საზოგადოებისა და ზოგიც გარეშე პირნი.

მთის ინჟინერის უფ. სოროკინის ხელმძღვანელობით დაიარეს და გაიცნეს ყველაფერი, რაც გეოლოგიური მეცნიერული მხრით შესანიშნავი იყო და იმ საღამოსვე უკან დაბრუნდნენ..

ყურადღების ღირსია, რომ ზოგიერთ ადგილობრივ თავადებს ამ—ათ გაეგოთ თუ არა ეს ამბავი, იმწამსვე შეკრებილიყვნენ; ერთს იმათგანს, რომელიც სხვებზე უფრო განათლებულად უნდა ჩაითვალოს, ეთქვა, რომ ჩვენს მამულში ოქრო და ვერცხლი აღმოჩენილაო, კამისია მოდისო, უნდა დავეპატრონოთ, არ მივუშვათ ის კამისია იმ ადგილების ასაწერათ, თორემ წაგვართმევენ, სახაზინოთ ჩარიცხავენ, დაგვეკარგებაო და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, დიდი ფაცა-ფუცი შეჰქნოდათ ბრწყინვალე თავადებს, და როცა ექსკურსიის მონაწილენი მივიდნენ კასპში, თითქმის ყველა ამ—რები იქ დახვდნენ, სტანციაზე..

ბოლოს გაიგეს ნამდვილი გარემოება, როგორც იყო დამშვიდდნენ და შემსუბუქებული გულით სახლში დაბრუნდნენ..

** ჩვენ მივიღეთ ოკაეთიდამ შემდეგი ამბავი:

„ოც მარტიდამ ოც-და-სამამდე ისეთი თოვლი მოვიდა ყველგან აქეთ მხარეზე, რომ სადაც თავის დღეში ზვავი არ გაეგონათ, სულ გაივსო, რამოდენიმე კაცის სული გააფუჭა და ძალიან ბევრი საქონელი. ალაგირიდამ მთამდინ სამხედრო ოსური სახელმწიფო გზები ისე გააფუჭა, რომ არამთუ ურემი, ცხენიც ველარ დაიარება თავისუფლად.

„ახლა მუშა ბლომათ ადგია და იქნება ერთ თვემდინ გააკეთონ გზა.

„ამის გამო, ვისაც სარჩო ქავკავიდამ მოაქვთ, ძლიერ შეწუხებული არიან, და ხალხიც დაფთხობილია, რადგან ხვნა დაიწყე..

### „დროების" კორრესპონდენცია

**ჰასსან-ყალა**, 2 აპრილს. გასულ მარტის 4-ს გამოვემგზავრე ალექსანდრაპოლიდგან ქ. ჰასსან-ყალას და თვით დავრწმუნდი მასში, რომ ამ ორ ქალაქებს შორის მგზავრობა მეფურგუნეებისათვის სწორეთ ყოფილა დიდათ გულის შემაწუხებელი მდგომარეობა. მიზეზი არის გაზაფხულის სითბო, თოვლი და ტალახი. ამასაც უნდა დაუმატოთ ალაგ-ალაგ გზების შეკვრა არზრუმიდგან უკან მომავალ ჯარების მხრივ, ქერისა და ბზის უქონლობა, რომლების მაგივრად ყიდულობენ ცხენებისთვის სუ-

ხარსა და მიდიან, როგორც არის „იოლათა.“

კიდევ კარგი, რომ დუხაბორები და მალაკნები არიან ამისთანა შემთხვევებში გამჭრიახნი, რომ სუხარს ყიდულობენ; მაგრამ რა უნდა ჰქმნან ახალციხის უეზდის ჩარვადრებმა, იმ ჯიბით საწყლებმა?!

გასულ მარტის 24-ს ჰასან-ყალაში იყო მშვენიერი გაზაფხულის დილა. თუმცა ეს ქალაქი არის ძლიერ უწმინდური და ტალახიანი ისე, რომ კაცს არ შეუძლია სადმე თავისუფლად ფეხის გადადგმა და სუნთქვა, მაგრამ საქმის გამო იძულებული ვიყავ, რომ გამოვსულიყავ სახლიდგან და წავსულიყავ ერთს პირთან.. სწორედ იმ ქუჩაზე, საითკენაც მივდიოდი, ვნახე ერთ სახლის წინ (რუსების და თათრების თოფ-იარაღის საცავი იყო) მრავალი ახალციხის უეზდის ჩარვადრები ცხენებით და საკოჭავებით.

— მგონი ახალციხელები უნდა იყოთ თქვენ?

— დიახ, შენი ჭირიმე.

— რისთვის დგეხართ აქ?

— რა ვიცით, შენი ჭირიმე, ჩვენა უმფროსმა მოგვრეკა აქ და არ ვიცით, რა უნდა წაგვალებინოს.

— ვინ არის თქვენი უმფროსი?

— არ ვიცით, შენი ჭირიმე; ის კი ვიცით, რომ აფიცერია, რომელმაც წამოგვასხა აქ ყარსიდგან საპანლებით.

— ფოდრიადჩიკი ვინღა გყავთ?

— ეჰ, ბატონო, ფოდრაჩიკს ნუღარ გვეტყვი; ღმერთმა კი უშველოს, ძალიან ყალბი კაცი ყოფილა, ასე ყელი გამოგვჭრა სუყველას.

— როგორ?

— რაღა როგორა, ბატონო: ამ სამი თვის წინათ ამ ჩვენმა ფოდრაჩიკმა დაიარა მთელი ჩვენი ახალციხის სოფლები და გვეუბნებოდა: ამთენი და ამთენი ასი ცხენი ჩარვადრისა მინდაო სამი თვითა, თვეში ოც-და-ათ მანათს გადაუჭრიო, ერთი თვისას ეხლავ ფეშინ-ფეშინ მოგცემთო და დანარჩენს ორი თვისასაც შემდეგ ერთის თვისაო; ამის გარდა, სადაც რომ იყოთო, ქალალდს მოგცემთო, რომ მე თვითონ უნდა კოდი ქერი მანეთათ გაძლიოთო, თუმცა მძვირიც იყოსო და არც იშოვებოდესო; თქვენც უნდა მომცეთ ქაღალდიო, რომ სამი თვე კარგათ უნდა მემსახუროთო და მერმე თავისუფალი იქმნებითო; ესეც გვითხრა, რომ ყარსამდინ იმუშავებთო იმის იქით აღარაო, უკან უნდა ცარელა ცხენებით დაბრუნდეთ ხოლმეო. ზოგი მოტყუვდა, შენი ჭირიმე და „ყაბულლი“ გახდა და ზევრმა კი უარი უთხარით, რადგანაც, ერთი რომ სიშორის გამო გვეძნელებოდა, მეორეც, ვიცოდით, რომ ოც-და-ათი მანათით თავს ვერ გავიდოდით და ესე ყელ-გამოჭრილი დარჩებოდით.

(დასასრული შემდეგ №-ში)

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

გაზეთს „Post“-ში იწერებიან ვენიდამ: „ყველა სახელმწიფოები თანახმა იყვნენ, რომ ჯერ რუსის ჯარი და ინგლისის ფლოტი მოშორებოდა სტამბოლს და მერე შეკრებილიყო კონფერენცია. მაგრამ ინგლისმა ისეთი პირობები მოითხოვა, რომ ბოლოს ეს გერმანიის წინადადებაც უნაყოფოდ დარჩა და ახლა თითქმის სრულიად დაკარგულია იმედი რუსეთისა და ინგლისის მორიგებისა.“

—

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ ოსმალეთის მმართებლობამ განკარგულება მოახდინაო, რომ ბათუმიდამ, შუმლიდამა და ვარნიდამ გაიყვანოს თავისი ჯარებიო.

გაზეთის „Presse“-ის სიტყვით, ბათუმი 15 აპრილს უნდა დაეცარიელებიათ ოსმალოებს და დამთმოთ რუსის ჯარისათვის.. როგორც ჰხედავთ, ეს ამბავი ტყუილია: ჯერ ბათუმიდამ ერთი სალდათიც არ გასულა ოსმალოსი..

—

ერთი ფრანცუზული გაზეთი გვაცნობებს, რომ არზრუმის მახლობლად ოსმალოები ჯარს ამზადებენო და როგორც კი რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდება, ეს ჯარი იმწამავე არზრუმს დაეცემა და ეცდებიანო, რომ ეს სომხეთი სატახტო ქალაქი ისევ წაართვან რუსეთსაო. ამის გამო რუსები ახლა რაც შეუძლიანთ საჩქაროთ ამაგრებენ არზრუმსაო.

—

ღენერალ-ადიუტანტი გრაფი ლორის-მელიქოვი, ავათმყოფობის გამო, დათხოვნილია მცირე აზის არმიის მთავარსარდლის თანამდებობისაგან.

—

ინგლისი თანახმაა, რომ მოაშოროს სტამბოლს თავისი სამხედრო ფლოტი, მაგრამ ისეთ პირობებს თხოულობს მაგიერად, რომლის ასრულება რუსეთს არ შეუძლიან; ის თხოულობს მაგალითად, რომ რუსეთმა თავის ჯარები ბალკანის მთამდინ თუ-არა, ადრიანოპოლამდინ მაინც დასწიოს უკანა. ამგვარი პირობის დადებით ყველა უცხო ქვეყნის გაზეთებს ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ინგლისს მაინც-და-მაინც რუსეთთან ომის ატეხა ჰსურსო.

—

სტამბოლში და გალიპოლში ამ ჟამად ინგლისელები ბატონობენ; ოსმალეთის ფლოტი ინგლისის ფლოტის უფროსის ხელ-ქვეშით არის; ასე რომ მთელი ოსმალეთის სამხედრო ძალა ინგლისის ხელშია.

აი ამის გამო რუსეთს, როგორც ამბობენ, გამოუცხადებია, რომ ოსმალეთის ნეიტრალიტეტს ჩვენ იმისაგან აშკარა ომის გამოცხადებას ვამჯობინებთო.

—

გაზ. „Indép. Belge“-ში იწერებიან სტამბოლიდამ:

„როგორც კი ინგლისსა და რუსეთს შუა ომი გამოცხადდება, რუსის ჯარი იმწამსვე დაიჭერს სტამბოლს, თუნდაც ოსმალეთი არ მიემხროს ინგლისს; მაგრამ, თუ ოსმალეთმა ინგლისის მხარე დაიჭირა, რომელიც მოსალოდნელია, მაშინ კი რუსებს განზრახვა აქვთ, რომ დაატყვევონ თვითონ ხონთქარი და ოსმალეთის ყველა მინისტრები და ამ საშუალებით მოუსპონ ხალხს ყოველი ღონისძიება რუსების წინააღმდეგობისა.“

—

გაზეთს „Presse“-ს მოსვლია ბერლინიდამ ტელეგრამმა, რომელშიაც სწერენ, რომ თ. ბისმარკმა გამოაცხადაო, რომ იმას შეუძლია დაათანხმოს რუსეთი, წარმოადგინოს კონგრესში გასარჩევათ ყველა მუხლები სან-სტეფანოს მორიგებისა, გარდა შემდეგი მუხლებისაო: ა) დაებრუნოს რუსეთს ბესსარაბია და მიეცეს რუმინიას დობრუჯუ, ბ) გავრცელება რუსეთის უფლებისა მცირე აზიაში არზრუმამდინ, გ) ომის ხარჯის გადახდაზე. ეს უკანასკნელი მუხლი შეეხება მარტო რუსეთს და ოსმალეთსო.

—

პარიჟიდამ სწერენ „კელნის გაზეთში“, რომ გამბეტტა ფიქრობს ნამდვილათ წასვლას ბერლინშიო. გამბეტა ფიქრობს, რომ შეერთებით მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოებისა მოსპობს ამგვარ მდგომარეობას.

ევროპა უნდა ეცადოს, გამბეტას აზრით, რომ რუსეთს არ მისცეს ნება დაარღვიოს 1856 წლის ტრაქტატი.

—

გაზეთ „Post“-ში იწერებიან პარიჟიდამვე, რომ რუსეთმა ვერ იშოვნა პარიჟში სასესხებელად ფულიო. ამის გამო ამბობენ, რომ რუსეთს ამ სესხის თაობაზედ ახლა მოლაპარაკება აქვს ამერიკას ბანკრებთანაო.


# განცხადებანი

### თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 25 აპრილს, უპრავის თანადასწრებით, დანიშნულია, მხოლოთ ერთხელ, ვაჭრობა არენდით (იჯარით) მიცემისათვის იმ საქალაქო მიწისა, რომელიც შეიცავს 5,000 ოთხ-კუთხ საჟენ მიწას და რომელიც მდებარებს კუკიაში, ავჭალის გზაზე, რკინის გზის სტანციის პირ-დაპირ.

ეს ადგილი გამოსადეგია ოჯახობისათვის.

მსურველმა თხუთმეტი წლის ვადით უნდა აიღოს ეს ალაგი იჯარითა.

(3—1)


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Апрѣля 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი